ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3395795

ნომერი: AR1520557

თარიღი : 10.07.2017

გაცემის თარიღი : 13.07.2017

გაცნობის თარიღი : 13.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 9 , (ნაკვეთი N56/43) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ პაპისმედოვი პ/ნ 01012000873
- თბილისი ვაზისუბნის III მ/რ II კვ. კორ. 10 ბ. 191

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის #3348768 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 10 ივლისს №AR1520557 განცხადებით მომართა ბესიკ პაპისმედოვმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017

წლის 26 ივნისის #3348768 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის #3348768 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ბაღდადის ქუჩა, N9, (ნაკვეთი N56/43) თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.17.13.056.062) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 26 ივნისიდან 2020 წლის 26 აგვისტოს ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, 2017 წლის 26 ივნისის #3348768 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის გეგმების ჩანაცვლება 2017 წლის 10 ივლისის №AR1520557 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის #3348768 ბრძანებასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დაკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის #3348768 ბრძანებაში და შეთანხმებული პროექტის გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 10 ივლისის №AR1520557 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით. სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის #3348768 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის #3348768 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.